1. **პროგრამის სახელწოდება:** ეთნოლოგია

2. **პროგრამის ხელმძღვანელი:** სრული პროფესორი ქ. ხუციშვილი

3. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ეთნოლოგიის მაგისტრი - MA in Ethnology

4. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი.

- პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.

5. **სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:**

<u>მიზნები:</u>

სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს თანამედროვე ეთნოლოგიური მეთოდების, თეორიებისა და პრაქტიკული ცოდნის მქონე სპეციალისტები, რომელთაც შეეძლებათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ თანამედროვე ქართული სახელმწიფოს შენებაში პრაქტიკული კვლევების განხორიელების, მოვლენების პროგნოზირება-მართვის უნარისა და რეკომენდაციების შემუშავების გზით. ეთნოლოგიური დისციპლინის მიზანი საველე მონაცემების საფუძველზე მსოფლიოს ხალხთა სოციო-კულტურული განსხვავებულობის რელატივისტური შესწავლაა. თანამედროვეობის მოთხოვნებმა დამატებითი კორექტივები შეიტანა, როგორც დისციპლინის მეთოდიკასა და მეთოდოლოგიაში, ასევე განსახილველი პრობლემებისა და საკითხების ნუსხაში. ეთნოლოგია აღარ არის მხოლოდ ხალხების აღწერითა და მათი ყოფისა და კულტურის შესწავლით დინტერესებული მეცნიერება. ეთნოლოგთა ინტერესების არეალში მოექცა მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება და მათი განვითარების პერსპექტივების პროგნოზირება. ამ თვალსაზრისით, ეთნოლოგიურ კვლევებს, ეთნოგრაფიული რეალიებისა და მოვლენების ახსნის საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება. პროგრამის მიზანია მოამზადოს ეთნოგრაფიული რეალობისა და თავისებურებების (განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება კავკასიის რეგიონსა და საქართველოზე) მცოდნე კვალიფიციური სპეციალისტი, რომლისთვისაც კარგად იქნება ცნობილი კავკასიისთვის დამახასიათებელი პრობლემები, რეგიონში მცხოვრები ხალხების ისტორიულ-კულტურული ურთიერთობები, მათი ყოფა და ისტორიის ხანგრძლივ პერიოდებზე გავლენის მქონე ღირებულებათა სისტემები, ეთნიკური კატეგორიები, ინტერეთნიკური ურთიერთობების მარეგულირებელი სტერეოტიპები.

<u>შედეგები:</u>

პროგრამის განხორციელების შედეგი იქნება კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, სათანადო თეორიული და პრაქტიკული გამოცდილებით, რომელთაც

შეეძლებათ მონაწილეობის მიღება ეთნიკურ პრობლემათა განხილვა-მოგვარების მიმართულებით წარმართულ საქმიანობაში.

<u>**დასაქმების სფეროები:**</u>

პროგრამის დასრულების შემდეგ ახალგაზრდები შეძლებენ საქმიანობა გააგრძელონ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებში;

ეთნიკური საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებში, მუზეუმებში,

სარეკლამო და ტურისტულ სააგენტოებში

მასმედიის საშუალებებში.

სწავლის გაგრძელების საშუალება: მაგისტრს შეეძლება სწავლის გაგრძელება შესაბამისი პროფილის მქონე დოქტურანტურაში.